



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო



მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს შენობა

თბილისის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო მ. იაშვილის სახელობისა, მულტიპროფილური პედიატრიული სამედიცინო დაწესებულება, სადაც სამედ. დახმარების აღმოჩენა 18 წლამდე ჰოსპიტალიზებული პაციენტებისთვისაა შესაძლებელი.

საავადმყოფო 35 წელზე მეტია ფუნქციონირებს (2010-იდან დირექტორია შ. ჯოგლიძე). საავადმყოფოს აქვს ევრ. და ამერ. წამყვან კლინიკებში აპრობირებული სტრატეგია, რ-იც ორი დონის სამედ. მომსახურებას ეფუძნება. პირველი არის ემერჯენსის განყოფილება (18 საწოლზე), სადაც შესაძლებელია გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა „ერთი დღის ჰოსპიტლის“ პრინციპით; მეორე – კლინიკის სტაციონარული განყოფილება, რ-იც საქართველოში ყველაზე სრულყოფილ, მულტიპროფილურ სამედ. სერვისს უზრუნველყოფს. ასევე ფუნქციონირებს ამბულატორიული სამსახური მრავალპროფილური სამედ. მომსახურებით (იმუნიზაციის ჩათვლით).

საავადმყოფოში რამდენიმე უნიკალური (რ-ის ანალოგი საქართველოში არ არის) დეპარტამენტია: ონკოპემატოლოგიის, ნეირომეცნიერების, ტოქსიკოლოგიის, რეს-პირაციული მედ., თირკმლის, ადრეული ასაკის ბავშვთა გლობალური განვითარების. ასევე ფუნქციონირებს ნეონატოლოგიური, ნევროლოგიური, აბდომინური, ორთოპედია-ტრავმატოლოგიის, კრიტ. მედ. დეპარტამენტები.

კლინიკა აღჭურვილია კომპიუტერული და ბირთვულ-მაგნიტურრეზონანსული ტომოგრაფიით, ხელოვნური სუნთქვის აპარატებით და კიუვეზებით, ბიოქიმ. და კლინ. ავტომ. ანალიზატორებით, ულტრაბგერითი და რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკის აპარატურით. ყველა სახის სამედ. დოკუმენტაციის წარმოებისას იყენებენ თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებებს.

კლინიკა თსსუ-ის დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სამედ. განათლების ბაზაა. მოქმედებს სასწ. ცენტრი, რ-იც სამედ. კადრების ტრენინგს ახორციელებს.

კლინიკის სამეცნ. მუშაობის პრიორიტეტია რესპირაციული მედიცინა, ნევროლოგია, ონკოპემატოლოგია, ნეონატოლოგია, ნეფროლოგია, რაც, შესაბამისად, ასახულია სამეცნ. პუბლიკაციებში, გაიდლაინებსა თუ პროტოკოლებში.

ი. ჩხაიძე
